რელიგიის როლი სექსუალური უმცირესობებისადმი წინარწმენების ჩამოყალიბებაში

მარიამ ბარამია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ბარამია

17.06.2024

აბსტრაქტი

სექსუალური უმცირესობებისადმი წინარწმენების არსებობა მნიშვნელოვანი საკითხია. უკვე არსებულ კვლევებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ არსებობს კავშირი რელიგიურობასა და წინარწმენებს შორის. წინამდებარე კვლევის ფარგლებში, პოსტ-კრიტიკული რწმენის კითხვარის გამოყენებით, დადგინდა რელიგიურობის რომელი განზომილებებია, (ორთოდოქსულობა, გარეგანი კრიტიკა, რელატივიზმი, მეორადი გულუბრყვილობა), სექსუალური უმცირესობების ჯგუფებისადმი, კერძოდ, გეებისა და ლესბოსელებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების პრედიქტორი. გარდა ამისა, დადგინდა განაპირობებს თუ არა სექსუალური უმცირესობის ჯგუფი (გეები და ლესბოსელები) წინარწმენის სიძლიერეს, როგორც ემოციურ, ისე ქცევით დონეზე. კვლევაში მონაწილე 110 ადამიანისგან მიღებული მონაცემების დამუშავების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ რელიგიურობის განზომილებებიდან მხოლოდ რელატივიზმია ლესბოსელებისადმი ემოციური წინარწმენის უარყოფითი პრედიქტორი. თუმცა, დადგინდა, რომ სხვა ცვლადები, კერძოდ, რელიგიურ რიტუალებზე დასწრების სიხშირე და ასაკი გეებისა და ლესბოსელებისადმი წინარწმენების დადებითი პრედიქტორებია. ასევე, კვლევამ აჩვენა მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირი რელიგიის განზომილებებს, რელიგიურ რიტუალებზე დასწრების სიხშირეს, საკუთარი თავის რელიგიურად აღქმას და გეებისა და ლესბოსელების მიმართ ემოციურ და ქცევით დამოკიდებულებებს შორის. გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ გეებისა და ლესბოსელებისადმი არსებულ წინარწმენებს შორის არ ფიქსირდება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება და მათ მიმართ დამოკიდებულება დაახლოებით ერთნაირია.

ძირითადი საძიებო სიტყვები: წინარწმენა, რელიგიურობა, სექსუალური უმცირესობები, გეი, ლესბოსელი

Abstract

Prejudice against sexual minorities is an important issue. Based on existing research and literature, it is possible to say that there is a correlation between religiosity and prejudice. Within the framework of the present study, using the post-critical belief scale, it was determined which dimensions of religiosity (orthodoxy, external critique, relativism, second naivete) are predictors of negative attitudes towards sexual minority groups, namely gays and lesbians. In addition, it was determined whether the sexual minority group (gays and lesbians) determines the strength of prejudice, both at the emotional and behavioral levels. Based on the processing of data obtained from 110 people participating in the study, it was found that only relativism is a negative predictor of emotional prejudice towards lesbians from the dimensions of religiosity. However, other variables, frequency of religious ritual attendance and age, were found to be positive predictors of prejudice against gays and lesbians. Also, the study showed significant correlations between dimensions of religiosity, frequency of religious ritual attendance, religious self-perception, and emotional and behavioral attitudes toward gays and lesbians. In addition, within the framework of the research, it was established that there is no statistically significant difference between the existing prejudices against gays and lesbians, and the attitude towards them is approximately the same.

Keywords: Prejudice, religiosity, sexual minorities, gay, lesbian